# ხელშეკრულება № 16
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ბათუმი „10" „03" 2011წ.

ერთის მხრივ, შპს „გალოგრეს"-ს (შემდგომში „შემსრულებელი"), წარმოდგენილი მენეჯერის ასია ტატეოსიანის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი" (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს, რაც წარმოიშობა შემსრულებლის მიერ დელეგაციის წევრის (ერთი ადამიანი) სასტუმროს მომსახურებით უზრუნველყოფისას.

## 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს დღგ-ს და ყველა გადასახადის ჩათვლით

## 3. ხელშეკრულების საფუძველი

3.1. „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; საქართველოს კანონი;

3.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი;

## 4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ა.წ. 19 მარტს (დაბინავება), 20 მარტს (სასტუმროს დატოვება)

4.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ.ბათუმი ა.გორგასალის ქ. №8.

## 5. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევა დასტურდება შესაბამის აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერით;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

## 6. ანგარიშსწორების ფორმა ვადები და ადგილი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ;
6.2. უნაღდო ანგარიშსწორება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
8.2. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით;
8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

## 9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების პარალელურად განახორციელოს ინსპექტირება, ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
9.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს დამკვეთის წარმომადგენელი;
9.3. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს;
9.4. დარღვევების აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

## 11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით;
11.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაწყვეტად, დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შემსრულებელს არ აქვს ფასების გადასინჯვის უფლება, თუ იგი გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას;
12.2 შემსრულებელს არ აქვს უფლება დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისთვის უფლებების გადაცემა;
12.3 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს;
12.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. დასკვნითი დებულებები

13.1. ისეთ შემთხვევებში, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
13.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსრულებელს, მეორე კი დამკვეთს.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional
Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

## 14. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსრულებელი**

შპს „გალოგრეს"-ს წარმომადგენელი, მენეჯერი

თიბისი ბანკი
ბათუმის ფც. №9
ბანკის კოდი 220101819
ანგარიშის
№ GE 93TB5743636020100004
ს/კ 245623295

**დამკვეთი**

სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"-ს ხელმძღვანელი

სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი 0516
საიდ/კოდი 204578242
ქ. ბათუმი მელაშვილის ქ. №26

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional